

ამთა მათ დევნულებისათა, რაჟამს
 ეშმაკი განმხიარულებული დუღდა
 შესანიშნავთა მათ ზედა მსხუერპ-
 ლთა თვსთა, იყო აღძრვად დიდი და
 მძლავრებაჲ და ტაცებაჲ უსამართლოჲ. ჟომ-
 ლისაცა **სორდინე** მეფე **ვლიო** ქალაქსა ემს-
 გავსებოდა ეშმაკსა და განრისხებული აღადგ-
 ინებდა კუნესასა დიდსა ჟრისტეანეთა ზედა
 და უბრძანებდა განდევნასა. ნა მო-ვინმე-იყ-
 ვანეს, რომელსა სახელი ერქუა **ფილეკტიმონ**.
 ჟომელსაცა ჰრქუა: «ვჰგონებ შენსა, ვითარმედ
 იმერთსა მას ჟრისტეანეთასა ჰმსახურებ.
 ღოლო ან განიშორე სიცოფისად ეგე ზრახვად
 შენგან. სსნავე და გულისჴმა-ყავ, რამეთუ
 მრავალთა მათ ღმერთთა შოვრის უდიდებულ-
 ჴს და უძლიერჴს, და დიდ და კაცთ-მოყუარე
სპოლონ არს. ნა სხუად რაჲლა ვთქუა, რამეთუ
 ყოვლადვე ღმერთ და მჴსნელ არს ყოვლისა
 სოფლისა. სნ ცან სარგებელი შენი, ჰ კაცი,
 და დაემორჩილე თავყუანის-ცემად დიდსა მას
 ღმერთსა **სპოლონსა**».

ღოლო წმიდაჲ იგი **ფილეკტიმონ** მეცნი-
 ერ იყო შჯულსა იმრთისასა, და მრავალსა
 დიდებულებასა სიმჴნისასა აჩუენებდა, და რა-
 მეთუ ერუენებოდა კაცთა. სამოინერა ჴუარ-
 ის-სახედ, იწყო სიტყუად მეფისა მიმართ და
 თქუა: «ისმინე მეფე. ჴემიპყრეს და მომიყ-
 ვანეს მე განკითხვად შენ წინაშე. სრაჲ თუ
 სიტყუაჴლოვნებითა რასმე გეტყვ შენ, არამედ
 შეუძრავისა მის გონებისა ჩემისაგან გულისჴ-
 მა-გიყოფ შენ სარგებელთა მათ და გაუწყებ
 შენ: ესე ჴეშმარიტად უწყი, რამეთუ **სპოლონ**
 არა ღმერთ არს სსნავლით ნათესავმრავალ და
 მრავალთა აცთუნებს, განახლებითა განკეთ-
 რებულ და უშუერ. ოკუეთუ არა გუერჩდეს,
 მივიდეთ შენ და მე ერთად სახელდებულსა
 მას ტაძარსა მისსა ღმერთ სახელდებულისა
 მის **სპოლონისსა** და გიჩუენო შენ უშჯუ-
 ლოებაჲ იგი და საუცარი ხილვად, და მრავალი
 უძლურებაჲ კერპთაჲ მათ».

2. სე რაჲ ესმა მეფესა მას, არა განრისხნა

მას ზედა, არამედ ჰრქუა: «მივიდეთ ერთად და
 გიჩუენო შენ ძლიერებაჲ იგი და უძლეველი იგი
 მადლი **სპოლონისი**. ნა მისლვასა მას მათსა
 შეუდგა მას სიმრავლჴს იგი ხილვად, ვითარმედ
 რამე ჰრქუას ჟრისტეანემან მან **სპოლონსა**.
 ნა ვითარცა მიიწია მეფე იგი ტაძარსა მას
 კერპთასა, ჰრქუა წმიდასა მას: «ჴხედავა, ვი-
 თარ ესე პირად-პირად გამოწერილ და აღმკულ
 არიან შჴნებული ესე და ფოლოცნი ესე მარ-
 მარინოფენილნი, სუეტნი და სუეტის-თავნი
 ოქროცხებულნი და ყოლად ქმნული ესე სან-
 ატრელ არს ან. ჸაძარილა ესე ესრჴთ შუენი-
 ერ არს ხილვად. სანჩინებულ არს, რამეთუ
 დიდებულსა ამას ღმერთსა **სპოლონს** წეს-არს
 თავყუანის-ცემად».

სე ვითარცა თქუა, უბრძანა მეფემან მან
 მეკერპეთა მათ განლებად კართა მათ ბაგი-
 ნისათა და განახუნეს. სრქუა მეფემან მან
 წმიდასა მას: «შევედ და იხილე დიდებული
 საკრველი ქმნული ტაძრისად მის **სპოლონი-
 სი**, რამეთუ ქუემო ოქროთა მოძერწული არს.
 ღოლო **სპოლონი** ყოვლადვე ოქროჲ გამოჴედ-
 ილი არს და შუენიერითა სამკაულითა აღმ-
 კულ არს». ნა ვითარ ამას იტყოდა ოდენ მეფე
 იგი, შევიდა მონამე იგი ჟრისტჴსი ტაძართა
 მათ კერპთასა ხილვად **სპოლონისა**, სახელ-
 დებულსა მას ღმერთად, და ჰრქუა მეფესა მას:
 «ესე არს, რომლისასა იტყოდე, ვითარმედ ამას
 დაუმყარებდეს ყოველი ქუეყანაჲ და უპყრიეს
 დამყარებული ბრძანებითა სასტიკებისა მის-
 ისაჲთა?» ღოლო მეფემან მან ჰრქუა წმიდასა
 მას: «არა ხოლო თუ ქუეყანაჲ, არამედ ცანიცა
 და ქუეყანაჲცა ეგე არს, რომელმან გამოაჩინა
 ყოველი სამკაულითა თვსითა და ყოვლადვე
 განცხადებულად განაგებს. სრა არს კაცი
 თვნიერ მაგისა, არა თუ შემწედ აქუნდეს იგი
 და არცა ერთი რამე მიზეზი მარჯუედ და
 მძლედ აქუნდეს ცხოვრებისად».

წმიდამან **ფილეკტიმონ** თქუა: «მეფე, მა-
 ცადე, ვიდრემდე ვეტყოდი რასმე მას». ნა
 მეფემან ჰრქუა წმიდასა: «ვითარცა გნებავს,

* კიენი I, რედ. კ. კეკელიძე, ტფ., 1918. გვ. 133-160.

იტყოდე კადნიერად». ჩმიდამან **ჟილეკტიმონ** ჰრქუა: «შენ გეტყვ, **სპოლონ**. ჟაჲსა არა იმოთხავ შუენიერსა ამას ადგილსა სიცოცხლისა და ცხოვრებისათჳს, რომელი შენდა შევედრებულ არიან? ჟამეთუ მეფჳ და ყოველი ურაკ-პარაკნი წარმართთანი შენ გესვენ ღმერთად. ნა შენ არა გგონიეს წყმედისა და უშჯულოებისა და უკეთურებისა და ყოვლისა განრყუნისა მათისათჳს». სე ვითარცა თქუა წმიდამან მან, მიჰხედა მეფესა მას და თქუა: «აჰა ესერა, არა აქუს სიტყვს-მოგებაჲ ღმერთსა ამას შენსა, მეფე. **სწ** შენლა თუ მითხარ, მეფე. ჟაჲსა დადებულ არს მტუერი თავსა მაგას **სპოლონისსა**?» შეფემან ჰრქუა: «რამეთუ დაუცხრომელად შურების ჳსნისათჳს სოფლისაჲსა. **სმ**ისთჳს დადებულ არს მტუერი ზედა თავსა მაგისსა». ჩმიდამან **ჟილეკტიმონ** ჰრქუა: «უკუეთუ მწველი ვიდრემე არს, სადა არიან უღღვიღნი ჳარნი? და თუ მეკაჰრაულე არს, სადა არიან ვირნი მაგისნი? და თუ თქუა, ვითარმედ მომკალ არს, სადა არს სამკალი მაგისი? და თუ მეპურე ანუ მზარეულ არს, სადა არს პური ანუ პირად-პირადი სანოვაგჳ, რომელი მაგას დაუმზადებიეს? ხოლო მე უწყი, რამეთუ თქუა, ვითარმედ შემწე არს. სე მეფე, ეგე საგონებელ არს. **ქ**ოლო მითხარლა, სადა არს ძალი მაგისი ანუ რასა მივედრებულ არს? რამეთუ მარქუ მე, მეფე, ვითარმედ გარდარეულითა შრომითა დადებულ არს მტუერი ზედა თავსა მაგისსა, ან რომლითა შრომითა? მითხარლა მე, რაჲთა ვიხილო და ვაქო იგი».

შეფემან ჰრქუა: «ცხოვრებაჲ სოფლისაჲ ამის გამო არს». ჩმიდამან **ჟილეკტიმონ** თქუა: «სადა არს ნესტჳ ანუ ჳმაჲ ანუ ოხრაჲ მისი, ანუ სადა არიან სიტყუანი პირისა მისისანი და წერილნი სარგებლისა თქუენისათჳს, რომელთა მაგათ ზედა სახელდებულ არს ღმერთად? არამედ უწყოდე, რამეთუ შეცთომილ ხარ მაგათგან, მეფე. ჳრძანე მოღებაჲ წყალი და მჟუარი და დაბანე **სპოლონი**. შოჳოცე მჟურითა, რაჲთა არა მერმე დაედვას მტუერი ზედა თავსა მაგისსა. სინ უწყის, მაგით რაჲთმე განიფრთხოს. ნუ სცთები, მეფე, ვითარცა წინაჲსწარ გარქუ. **ს**რამედ ბრძანე და მე დავამჟუა **სპოლონი**, რომელსა ეგე ღმერთად ჰგონებთ თქუენ. ნა გიჩუენო შენ, რამეთუ არცა გული განუწყიეს და არცა განრისხნეს, არცა თუალ-გიყოფდეს, არცა ზარი განჰჳდეს, არცა ჰხედვიდეს, არცა ეშინოდის, არცა იბრძვოდის, არცა დაინთჳს,

არცაღა ვითარცა ღმერთი განრისხნეს, არამედ ვითარცა პილენძი განბნეული უჩინო იქმნეს».

ნა ვითარცა ესმა ესე მეფესა მას, ჰრქუა წმიდასა მას მონამესა ჴრისტჳსსა: «უკუეთუ ეგრტთ არს ძალი და ჳელმწიფებაჲ შენი, ნუგეშინისცემაჲ და სასოებაჲ გაქუს იმრთისაგან შენისა, დაამჟუ ეგე ვითარცა გნებაჲს». **ქ**ოლო წმიდამან მონამემან ჴრისტჳსმან **ჟილეკტიმონ** უბრძანა მოღებაჲ ევანთაჲ და გარდააცუა ჳელსა **სპოლონისსა**. ნა მოჰზიდა და დაამჟუა იგი ზედა იატაკსა მას. ნა ვითარცა დაეცა, განიბნინეს ყოველნი ნაწეჲარნი მისნი ურთიერთას. ნა შემინდა მეფჳ იგი და განივლტოდა ადგილისა მისგან, რაჲთა ნუუკუე ნამუსრევი პილენძისაჲ მის აღჰკრთეს და ეცეს მას.

3. ნა ვითარცა გამოვიდეს ბაგინისა მისგან კერპთაჲსა, უპყრა ჳელი მეფემან მან წმიდასა **ჟილეკტიმონს** და მივიდოდეს ერთად. ნა ვითარცა მიიწია მეფჳ იგი ტაძართა მათ თჳსთა ხოლო, უბრძანა მონოდებაჲ **სნატოლტსი** ცოლისა თჳსისაჲ და **სებასტიანოსისი** ძისა თჳსისაჲ და **ქეოდოსიაჲსი** ასულისა თჳსისაჲ და სოფლის-მპყრობელთა, რომელნი იყვნეს ჳელმწიფებასა ქუეშე მისსა. **ს**ღალო პირი თჳსი **სორდიანე** მეფემან და იწყო ღაღადებაჲ მათა მიმართ, რამეთუ მოცემულ იყო მისა სიტყუაჲ **ოფლისა** მიერ: «ისმინეთ შესულებულნი და ორგულნი და გულისჳმა-ყავთ ყოფილი იგი, რამეთუ რომელსა იგი ესევდით, ვითარმედ ცხოველი ღმერთი არს **სპოლონი**, ვითარცა არარაჲ წარწყმდა, რომელი იგი უთქუამნ აღიჳოცა. ჴომელი იგი მიიზიდავენ ყოველსა ნათესავსა, მცირითა საბლითა მოზიდვითა დაემჟუა და დამჳობილსა მას არარაჲ ეგონა. ჴომლისაჲ პირი განღებულ იყო და არარას იტყოდა, რაღლაჲ სხუაჲ ვთქუა. ნა თუმცა არა გუესხნეს ჳელოვანნი, არცამცა ღმერთნი გუესხნეს ჩუენ. ნა თუმცა არა გუესხნეს მჭედელნი და თუმცა არა გუაქუნდეს ოქროჲ, დიდად უღმერთო სამემცა ვიყვენით. **ს**მას ვიტყვ, რომელი თქუენ ყოველთაჲცა იცით, არა მიერთგან შეცთომილ იქმნა.

ჴაჟამს მოკუდა **სდონია**, ძჳ **ქსანტს** მეფისაჲ, ეგოოდენ მგლოჲარე იყო მის ზედა, რამეთუ ვერ დაუთმოზდა ურვათა მათ დიდად-სურვილთა მით ძისა თჳსისა **სდონიაჲსა**, რომლისათჳს მიმო-ცა-დვა, რომელნი იყვნეს ჳელმწიფებასა ქუეშე მეუფებისა მისისაჲსა ზრახვაჲ ესრტთ, რაჲთა აღჰმართონ და შეწირონ ხატისა მის

მიმართ მის ყრმისადას. ბა ეგრტო რადთა აღჰმართონ და შეწირონ ხატისა მის მიმართ მის ყრმისადას. ბა ეგრტო ღმერთად საგონებელ იყო იგი. სჰა ვიხილეთ სურვილი მამისაჲ შვილისა მიმართ, რომელნი იგი იწყო და გამოაჩინა კერპთ-მსახურებაჲ, რამეთუ ყოველნივე შესულიბნა და აცთუნნა. 'სე თქუენდა უწყებულ იყავნ. ოკუეთუმცა იყო **ქსანთიმოს** მეფე მტერ ძისა თვისა მომკუდრისა და ჩუენცამცა არა გუაქუნდა აღმართებული ხატი. სჰა გარქუ თქუენ საქმისა მისთჳს ჯოჯოხეთისადას და მოქმედისა მისთჳს წარსაწყმედელისადას. ოწყებულ იყავნ თქუენდა ამიერიტგან, ძმანო ჩემო, რამეთუ ამიერიტგან არღარა დავადგრე მაგას შეცთომილებასა, რამეთუ ჴრისტეანე ვარ, და ტევან მწიფე ჭეშმარიტისა მის ვენაჴისაჲ და აღმოსცეს გულმან ჩემმან მრავალსაჲ სიტყუათა შემოძინებაჲ ღირსთაჲ მათ. შუ ამიერიტგანვე, ამიერ ჟამითგან ღვნოჲ და უყი შესანიშნავთაჲ მათ კერპთაჲ არა ვსუა, რადთა განვძლიერდე და წარვემართო წესთა მათ სინანულისათაჲ».

4. ესე ვითარცა თქუა მეფემან მან, მიუგო **სებასტიანოს** ძემან მან მისმან და ჰრქუა: «ჴ მამაო, ფიცხელთა მაგათ სიტყუათა შენთა არა კეთილ არს და არცა ჩემი შენდა მიმართ ჟამი არს კდომისაჲ. ჴამეთუ გარქუ შენ ყოფადთა მათთჳს დამტკიცებულთა სიტყუათა საღმობითა ალავსე გული ჩემი, რამეთუ არა ვითარ ეგე შენ ჰგონებ, ვითარმცა ვითარცა ყრმამან გული განვიწყე, არამედ ვითარცა ღომი განვძნდე. ჴადას მიეც მიცემით დიდი იგი ღმერთი **სპოლონი** **ფილეკტიმონს**, რომელ იგი ვითარმედ ჴრისტეანე ვარ. ჴოველი ესე ქალაქი კუნესის მისთჳს და მრავალი ბრალი აღუწერიეს შენთჳს და დრტვნენ. ჴოლო ან მითხარ, ჴრისტეანესალა თუ იტყვ თავსა შენსა, ამიერიტგან ვერ იპყრა მეფობაჲ ეგე შენი».

ბა ვითარ იგი ამას იტყოდა, იწყო სიტყვს-გებად მისა **ქევდოსია**, დამან მისმან და ჰრქუა მას: «შენ გეტყვ, **სებასტიანე**, ძმაო ჩემო. ჩუ უბადო იქმნები, და ნუ სცთები და გნადინ შენ პატივი იგი და გვრგვნი შარავანდედისა ამის მამისა ჩუენისაჲ. ჴომელი შეურაცხ ყო და განაგდო გვრგვნი იგი ჴრისტჳს ზეცათა შეუფისათჳს, და ცრუჲ იგი ღმერთი **სპოლონი** ყოვლითურთ სულმყრალობითა მით ნაზორევთაჲთა უვარ ყო და შეურაცხ. ბა ნმიდაჲ იგი **ფილეკტიმონ**, ჭეშმარიტი იგი მონაჲ ჴრისტჳსი შეიყუარა, რადთა ღირს იქმნეს სულნელთა ნიჭთა სული-

სა **ქმიდისათა** ჴელითა ოფლისა-მოყუარისა მის მონამისაჲთა. ბა ან არამე არსა შენდა სირცხულ მამისა-მოძულე დისა მოძულე ყოფად, ხოლო შენდა წყმედა და ჩუენდა შეურაცხება და გულის-წყება? ჴირი და ურვაჲ და განდგომაჲ ეგე შენი **შჳსნელისა** ჩუენისა შეუფისა ჴრისტჳსგან არა წეს-არს შენდა წინაშე ოფლისა და შარავანდედისა და უფროჲს მამისა ჩუენისა ეგრტო წარმდებებით სიტყუად. ჴენ ხარ, რომელი აღადგინებ ამბოხსა მაგას. 'სნადის მეფობაჲ და ამისთჳს დაგიბრმოზიან თავით თჳსით თუალნი ეგე გულისა შენისანი და არა ჰხედავ წყმედასა მაგას შენსა, არამედ წარმდებად და ურჩად იტყვ წინაშე მშობელთა ამათ შენთა. ოხუცჳს ნუ ხარა შენ მამისა ამის შენისა, არა-მე მაგას უშობიესა შენ? ნურთილისა მაგის მრავალ უმეტჳს არს მეცნიერებითა. სცნა და გულის-ხმა ყო ჭეშმარიტებაჲ და თავყუანის-სცა ზეცათა მეუფესა ამას, ვითარ დამტკიცებულ ხარ, და მუსრველისა მის მიმართ **სპოლონისა**. ჴოლო ჩუენ ვჰმსახურებთ ჴრისტესა, რომელმან იგი დამუსრა **სპოლონი**. 'გერა მცირითა საბლითა მოზიდვითა დაიმუსრა **სპოლონი** და იქმნა იგი ვითარცა მქეშაჲ. სნ ვინაჲ ეგე ღმერთად ითქუმის? ნუ გაცთუნებნ შენ ამიერიტგან ეშმაკი უტყუთა ამათ მიმართ კერპთა, რომელნი არა არიან ღმერთ».

5. სმას ეტყოდა **ქევდოსია** ძმასა მას თჳსსა. ბა ჰრქუა მათ დედამან მათმან: «დადუმენით შვილნო და ნუ განამწარებთ, და ნუ აღიდრვით. იმერთმან **ფილეკტიმონისმან**, რომელმან იჩინა მამაჲ თქუენი, მან უწყის რაჲ წეს-არს სინმიდე მისა». ბა ვითარ ეტყოდა ამას შვილთა მათ თჳსთა, თანა მიუდგა ქმარსა მას თჳსსა და ეტყოდა: «მეფე **სორდიანე**, ჴორცო ჩემო და თანამყოფო ჩემო. ოფალო ჩემო, რომელმან განმზარდე მე, და განმამხიარულე მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა მოდღენდელად-დღედმდე, ყუავილგარდაფენილად ახარე სულთაცა ამათ ჩუენთა. ბათმენით დაუთმე, რომელ რაჲ წინაგიც სიყუარულისათჳს ჴრისტჳსისა და ისმინე, რასა ესე გეტყვთ მე და **ქევდოსია**».

ოფალო ჩუენო და წინამძღუარო ახლისა ამის ცხოვრებისა **ფილეკტიმონის** მიერ ნმიდისა, რომელ არს იმრთისა ცნობაჲ ესე ჩუენი. ოწყებულ იყავნ სიმჴნისა მაგის შენისაჲ, რამეთუ ჴრისტჳს, რომელი იგი გრწმენა, არა ხოლო თუ პირითა განწესებულად გამოითქუმის, არამედ

ხილულად მორწმუნეთა გულთაგან განჭეშ-
მარიტებულად ითქმის. ჩუ სიტყვთა ხოლო
ჯელოვნებისათა, არამედ საქმითაცა აჩუენე,
რამეთუ საღმრთოთ-კერძო სარწმუნოებისა
ზრახვად არა ხოლო თუ სარწმუნოებად ხოლო
იგი არს ჭრისტჳს მიმართ, არამედ ვნებაცა
თავს-დებად შისთვს. **წნ** ვიდრე ესე გუხედავ,
უკეთური ნათესავი არს **სებასტიანოს**. **წრა**
კეთილ არიან თუალთა მოდგამნი იგი მისნი ჩუ-
ენდა მიმართ. ჩუ ჰგონებ, ვითარმედ სიკუდიდ
ვართ მის მიერ, რამეთუ იტყვს: აღდგენ შვილნი
მამა-დედათა ზედა თვსთა და მოწყვდნენ იგინი,
არამედ დისა ამის თვისისაცა მომართ ჯელშეხ-
ებულ იქმნეს და მოკლას ესე. **წნ** შენ, უფალო
ჩემო, ვის ელი, ვინათგან ჭრისტჳ შთაგაცუა
შენ წმიდად **წილეკტიმონ**. **წანიძარცუე** შენგან
ძონეული ეგე და აღიჭადე გვრგვნი ეგე თავისა-
გან შენისა, რამეთუ განმზადებულ არს ეშმაკი
ბრძოლად ჩუენდა მომართ».

წ 6. **წა** ვითარცა ესმა ესე მეფესა მას ჭრისტ-
ჳს-მოყუარესა ცოლისა მისგან თვისისა, ადრე-
ადრე განიძარცუა სამეფოთ და იგი სამკაული,
აღიჭადა გვრგვნი თავისაგან თვისისა და ჰრქუა
ძესა მას თვსსა: «რახსა უდებ ხარ, შვილო.
წრამედ მიიღე ყოველი ჯელთაგან ჩემთა, რა-
მეთუ შენდა წეს-არს შარავანდედობად, ვითარ-
ცა ესე გუხედავ». **წა** ჰრქუა **სებასტიანოს**: «**წ**
მამაო, დაღათუ ხარ კეთილითა მძლე, რახსა
იქმ მაგას და შემეძლემ გულსა ჩემსა?» **წლო-**
წიანე მეფემან ჰრქუა: «დასცხერ აბა, რომლი-
სათვსცა იგი გნადოდა, მოგეცა შენ».

შას ჟამსა აღჟღავნეს, რომელნი იგი გარემოს
დგეს. **წოვლით** მოქალაქითურთ ღალად-ყვეს
და იტყოდეს: «**წრისტეანე** თუ ხარ, ამიერიტგან
ვერლარა ჰმეფობდე ჩუენ ზედა. **წამეთუ** **წპო-**
წლონი განსწამე, მწსნელი იგი ჩუენი დაამწუ და
უფალი იგი ჩუენი მოჰკალ და ღმერთი იგი ჩუე-
ნი დაჰმუსრე. **წა** ვითარ ამიერიტგან ჰმეფობდე
ჩუენ ზედა?!» და ვიდრე იგინი ღალადებდეს, ჰრ-
ქუა მათ მეფემან მან: «რახსა აღძრულ ხართ? მე
წეფსით თვსით განვიშორე განრყუნილი იგი პა-
ტივი მეფობისა. **წა**ადგთ ეგე თავსა ზედა ძისა
მაგის ჩემისასა და ჩემგან განმეშორენით!» და
მიყო ჯელი ერთმან ვინმე ერისაგანმან, რომელსა
სახელი ერქუა **წასოს**, და მოიღო ჯელთაგან მე-
ფისა ძონეული იგი და გვრგვნი და თქუა: «**სებას-**
სტიანოსისა წეს-არს შარავანდედობად ესე». **წსე**
იქმნა დიდ-დიდთა მათ ზრახვითა ყოვლითურთ
მოქალაქით და მეფე ყვეს **სებასტიანოს** ძჳ მისი

და მეფობდა მათ ზედა.

წ 7. **წა** ვითარცა მეფე იქმნა, ბრძანა დამუსრ-
ვილისა მის და დაწულილებულისა **წპოლონი-**
სი უფროსს განახლებად. **წა** ვითარცა წარწდეს
5 **წვდნი** დღენი, დაჯდა საყდართა მათ სამჯელი-
სათა და ბრძანა წარმოდგინებად წმიდისა მის
წილეკტიმონისი შორის ურაკპარაკსა მას. **წა**
ვითარცა წარდგა წმიდად იგი, ჰრქუა მეფემან
მან: «შენ ზედა ვაჩუენო პირველი ესე სატან-
10 **წველი**. **წარქუ** მე, სამგზის წყეულო, ვითარ
იკადრე გარდაცუმად საბლისა ყელსა **წპოლო-**
წონისა. **წოზიდვით** დაამწუ და ჰქმენ ყუედრე-
ბად მეფობისა ამის ჩემისა და ან ვჰგონებ მე
ტანჯვითა ამათგან, რომელი განმმზადებდეს
15 **წენდა** მიმართ აღსრულებად. **წრა**მედ დამემო-
რჩილე მე, უკუეთუ გნებავს ვითარმცა ნაწილ-
სა რასმე ამის ცხოვრებისა ცხოვდი. **წხედავ**
შენ, რამეთუ ჭაპუკ ხარ და შუენიერ ხატითა.
შივედ და უგე ღმერთთა მათ ჩემთა, რახთა
20 **გიხილონ** შენ მშობელთა მათ ჩემთა, და დამან
ჩემმან და ეგრევე ყონ და ცხომდენ».

ხოლო წმიდამან **წილეკტიმონ** ჰრქუა: «რო-
მელთა იგი გშვეს შენ, იგინი ზესკნელ ზეგა-
რდამო შობილ იქმნენს აზნაურებითა მით სა-
ღმრთოთ-კერძო სულისა **წმიდისა** მიერ ბრ-
25 **ძანებითა**, ხოლო შენდა ვაჟ, თავჯუვილის გა-
წწმელ და უჟამოხს ნაყოფ და შენ მეტყუელ
ეშმაკისა». **წსე** ვითარცა ესმა მეფესა მას, გა-
წწრისხნა ვითარცა მწეცი განტეხილი და მარტ-
30 **ოღ-მწამელი**. **წა** უბრძანა უწყალოდ ცემად მისა
ფიცხლითა კუერთხითა. **წოლო** ჭრისტჳ მოვი-
და შემწედ მონისა მის თვისისა. **წრისტე**ბოდეს
კუერთხნი იგი წმიდასა მას გუემისა მისგან და
ერისაგანნი იგი მგუემელნი იგი მისნი ურთ-
35 **იერთას** ტვნსა დაიპეპდეს, და განკრთომილი
ერთი კუერთხთა მათგანი მიიწია მეფისა მის
და წარუგდო გუგად ერთი თუალისა მისისა. **წა**
ვითარცა დაბრმა მეფჳ იგი, ჰრქუა მტარვალთა
მათ, რომელნი ჰგუემდეს წმიდასა მას მოწამესა
40 **წმრთისასა**: «დადუმენით, რამეთუ ჩუენ დაგუშ-
ჯიან კუერთხნი ესე ჩუენნი». **წა** ვითარ დასცხ-
რეს მტარვალნი იგი, ჰრქუა მეფემან მოწამესა
მას **წმრთისასა**: «გევედრები შენ, უფალო, ნუ
განჰრისხნები ჩემ ზედა. **წრა**მედ დამდეგ ჯელნი
45 **წენნი** ზედა წყლულსა ამას თუალისა ჩემისასა.
წა მომმადლე მე ზეგარდამო წარწყმედული ჩე-
მგან ნათელი. **წწყი**, რამეთუ შენ გამო შემემთხ-
ვა მე ძვრი ესე». **წოლო** მოწამემან **წმრთისამან**
ჰრქუა მას: «დამუსრვილსა მას **წპოლონს** და

შენაგან განახლებულსა მერმე მოუწოდე. ოკუეთუ შემძლებელ არს, განგაცოცხლოს შენ და განათლდეს თუალი ეგე შენი». სრქუა მას მეფემან მან: «არასადა აღუზილნეს ღმერთთა თუალნი ბრმათანი». **წილეკტიმონ** ჰრქუა: «და თუ არა არიან შენდა შემწედ, რაჲსა შესწირავ და ჰმსახურებ მათ, ვითარცა კეთილის-მყოფელთა?»⁵ **წა** ამისა შემდგომად ჰხედვიდა წმიდა იგი მონამჴ, რამეთუ დიდად შეურევებული იყო მეფე იგი. შიეახლა თუალთა მისთა და განკურნა იგი. **წა** ვითარ განიკურნა მძლავრი იგი, თქუა: «გმადლობ შენ, **წპოლონ**, ღმერთო ჩემო, რამეთუ ადვილად მომმადლე მე ნათელი ესე ჩემი». **წა** ესე ვითარცა თქუა, უბრძანა შეკრვად წმიდისაჲ მის **წილეკტიმონისი** და შეგდებად საპყრობილესა.

8. **წა** ვითარცა გამოიყვანეს წმიდა იგი მონამჴ იმრთისაჲ, ბრძანა მოწოდებად მამისაჲ და დედისაჲ და დისა მის თჳსისაჲ. **წა** ვითარცა შევიდოდეს ტაძარსა მას, ზე აღდგა **სეპასტიანე** და ჰრქუა მამასა თჳსსა: «დაჯედ, მამაო». **წა** **წორდიანე** ჰრქუა: «შენ დაჯედ, შვილო, რამეთუ მეფე ხარ, ხოლო ჩუენ შეურაცხ და დაგლახაკებულ ვართ ჴრისტსთჳს». **სეპასტიანე** ჰრქუა: «მე დაჯედე უბრუნველად და თქუენ უგეთ ღმერთთა შეუწუხებელად. **წა** ნუ მცემთ მე გინებასა სიბერისა თქუენისასა». **წა** **წეოდოსია** თქუა: «სიბერესა მშობელთასა აგინებ, ჴ უბადოვო, და არა უწყი, რამეთუ რისხვამან იმრთისამან არა დააყოვნოს. **წა** ეგე არა-მე უწყი, რამეთუ ეშმაკმან დაგისახლეულა შენ და დაგიდგინა შენ მეფედ. **წა** ხოლო ესე მო-ვე-იწსენე, რამეთუ მაგათგან იშევ და რაჲსა იპოვე თესლ უკეთურების. **წა** ხოლო ნუ იყოფინ კეთილი შენდა, ეშმაკო, და ნუმცა იწოდები შენ თესლ ესე ვითართა მშობელთა!» **სეპასტიანე** თქუა: «და თუ მშობელნი ეგე დაბერებულ არიან და სცთებიან, ხოლო შენ, რამეთუ ყრმა ხარ და ეგე ვითარი საკვრველი და ქმნულებად და ჴუენიერი ჴასაკი, თხრობადცა ძნელ არს კაცთ შორის, რომელ მოცემულ არს შენდა ღმერთთა მათგან, რად არა უგებ ღმერთთა და იქმნე დედოფალ?!» **წა** **წეოდოსია** თქუა: «არა, ნუ იპოვოს კუერთხი ჴელთა შინა ჩემთა, რომლითამცა გიხეთქენ და განგტეხენ?!» **წა** ესე ვითარცა თქუა, შერბოდა და შებმა უყო და მიხეთქნა შარავანდნი იგი თავისაგან მისისა და მოაპოძონეული იგი, რომელ ემოსა მას და ესრჳთ განძლიერდა მას ჴედა, ვითარცა ერთი მამათაგანი, რომელმანმცა დადვა ნები თჳსი მკლავსა ჴედა

დაჴყლემად მისა. **წა** შიუგო ერთმან ვინმე ერისაგანმან, რომელსა სახელი ერქუა **წასოს**, და ჰრქუა: «ისმინე, დედოფალო **წეოდოსია**. **წა** რა ჴერ-იყო შენდა ჴელისა მიყოფად კაცისა შარავანდედისა». **წა** ხოლო მან ჰრქუა მას: «ბევრწილად ეშმაკთ-საყუარელო, ძაღლო მომკუდარო, ცუდად მყეფარო, და შენცა ეწამებევე?!» და სრბით მიეახლა მას და ჰრქუა: «შენ წარმართთა უცხოთესლთა მიმართ იცი ბრძოლად, ხოლო **წა** ჴრისტეანეთა მიმართ ვერ შემძლებელ ხარ, ჴ ეშმაკო, და შენ მეტყუელო უკეთურებისაო!» და ესე ვითარცა თქუა, აღილო ჴვად და შეჴრბიოდა მას და სცა პირსა და შეჴმუსრნა კბილნი ბაგითურთ და ესრჳთ ვითარცა რუჲ სისხლისაჲ დამოადინა მისგან.

9. **წა** ხოლო ხვალისაგან ვითარცა დაჯდა საყდართა საშჴელისათა, **სეპასტიანე** განსავსე გულის-წყრომითა და რისხვითა იღრჴენდა კბილთა თჳსთა. **წა** უბრძანა მოყვანებაჲ ნეტარისა მის **წეოდოსიაჲსი**. **წა** ხოლო იგი აღდგა და მივიდოდა სიხარულით განძლიერებული იმრთისა მიმართ, და ვითარცა მივიდა, ჰრქუა ძმასა თჳსსა: «ბილწო და კაცთ-მოძულეო, რად არს, რაჲსა მიწოდე მე? აჴა ესერა, მახლობელად ვდგათ, რად გნებაჲს?» **სეპასტიანე** ჰრქუა: «გუშინდელსა მას შეცოდებასა შენსა დავდუმენ, ხოლო რომელი ესე წინამიცი, არღარა გრიდო შენ. **წა** შივედ და უგე ღმერთთა მათ, რადთა არა შეჴვარდე ბოროტთა მათ სატანჯველთა, რომელნი მოვანინე შენ ჴედა!»

წა **წეოდოსია** ჰრქუა: «გულის-წყრომაჲ შენი მსგავს არს ფურცლისა განჴმელისა, რომელ დამოცვვინ ხეთაგან და თქუამანი შენნი მსგავს არიან ჴინჴველთა. **წა** ჴეფუცები შენ, ოფალსა ჩემსა ჴესუ ჴრისტსა ჴუარცუმულსა მას **წონტოელისა** **წილატესგან** და ეწამებ წამებასა კეთილსა, ვითარმედ არა ვჴმსახურო კერპთა. **წა** მისთჳს ბრძოდე ვითარცა გნებაჲს, არა თუ თავით თჳსით ვინ იძიოს ჴური. **წა** რამედ ჴურის-მეძიებელ და შემწე არს ოფალი ჩუენი ჴესუ ჴრისტს». **წა** ხოლო **სეპასტიანე** ცრემლით ეტყოდა დასა მას თჳსსა: «რამე რად შეგემთხვა დედოფალო, რამეთუ ეგე ვითარსა მაგას ქმნულსა ჴუენიერსა წარსწყმედ». **წა** მამამან **წა** **წეოდოსია** თქუა: «არსვე ეგე მიზეზ წყმედის შენდა, რამეთუ სიკეთჳ მცირითა საღმობითა დაჴნეს და განირყუნეს და ნაქმნევი სიბერემან გარდააქციის კაცისაჲ. **წა** სე არს ვითარცა თივად არიან დღენი მისნი და ესე უკუეთუ აქუნდეს

შემნედ ღრისტჳ, ვითარცა ქსელი დედაზარდ-
ლისაჲ არს მიმოტაცებული ქართაგან.

სებასტიანე ჰრქუა: «ქსელ დედაზარდლის
განხეთილ და განლულ ცხოვრებისაგან, და
გესლ იქედნისაჲ ზედამომაჲალ. შე არა უწყია, 5
რამეთუ გწყალობ შენ». **წმიდამან ღეოდოსია**
ჰრქუა: «ცხოველვე მკუდარო, იქმოდე რაჲცა
გნებაჲს». შას ჟამსა უბრძანა **სებასტიანე** გე-
ლყოფად პირსა მისსა, რაჲთამცა დააყენნეს
სიტყუანი ჭეშმარიტებისანი, რომელ გამოვ-
იდოდეს პირსა მისსა. შა ვითარცა დგა გე-
ლყოფილი, იხილა წმიდამან მარჯუენით-კერ-
ძო წნგელოზი იმრთისაჲ თანამდგომარჳ და
ეტყოდა მას: «ნუ გეშინი მჴევალო იმრთისაო,
რამეთუ მოვივლინე დაცვად და დაფარვად და 15
შემნეყოფად შენდა, ვითარცა შენ გნებაჲს. ჴა-
მოგიჴსნე გელყოფად ესე შენგან და გელუყო
ძმასა მაგას შენსა». შა ვითარცა ესე თქუა
წნგალოზმან მან, გამოჴჴსნა იგი გელყოფად
იგი ნეტარისა მისგან და გარდააცუა და გე-
ლუყო მეფესა მას და დამოჴკიდა იგი აერთა
თვნიერ კაცობრივისა ჴელოვნებისა ქმნულთა.
შა ვითარცა დამოკიდებულ იქმნა მძლავრი
იგი და გუემულ იქმნა, ჰრქუა დასა მას თჴს-
სა: «დედოფალო **ღეოდოსია**, თუალთა ჩემთა 25
ნათელო, გზა ცხოვრებისა ჩემისაო, შემენიე
მე და მომბადლე და განმჴსენ მე, რომელი ესე
რისხვაშეკრულ ვარ».

10. შას ჟამსა წმიდაჲ იგი მჴევალი იმრთი-
საჲ დიდსა ლოცვასა შესწირვიდა იმრთისა
მიმართ. სანყალობელითა ცრემლითა ითხო-
ვდა და თქუა: «იმერთო, შემოქმედო ცისა და
ქუეყანისაო, შამაო ოფლისა ჩუენისა ჴესუ
ღრისტჳსო, ჴომელმან არა დამაგდე მე მჴე-
ვალი ესე ჴენი, არამედ მომიძიე ჴენითა მაგით
კაცთ-მოყუარებითა და მიჴსენ მე მწარეთაგან
ტანჯვათა. ჴსმინე ლოცვაჲ მჴეველისა ჴენისაჲ
და აჩუენე კაცთ-მოყუარებაჲ ჴენი ძმასა ამას
ჩემსა ზედა შეცთომილსა და გარდამოჴჴსენ
ბოროტთა ამათ ტანჯვათა დამოკიდებისაგან,
რაჲთა გულის-ხმა ყონ, რამეთუ ჴენ მხოლოჲ
ხარ იმერთი». შა ვითარცა ესე თქუა წმიდამან მან,
შეპყრობილი რისხვისა მის და დამოკიდებისა-
გან, გარდამოჴჴსნა ძმაჲ იგი მისი წნგელოზმან
მან, რომელმან დამოჴკიდა ბრძანებითა იმ-
რთისაჲთა. შა ვითარცა გარდამოჴჴსნა მეფჳ
იგი, იქმნა შიში დიდი ყოველსა მას ერსა ზედა,
რომელნი გარემოჲს იყენეს. იალადებდეს და
იტყოდეს: «დიდ არს იმერთი **წილეკტიმონისი**

და **ღეოდოსიაჲსა**, რომელმან გჴრუენა ჩუენ
საშინელებად ესე და თჴსისა ამის იმრთეები-
სა საფასენი. წნ ვცანთ და გულის-ხმა ვყავთ,
რამეთუ ჴენ მხოლოჲ ხარ იმერთი და არა არს
სხუად იმერთ შენსა გარეშე, ჴომელმან გან-
ჴსნის კრულნი და განტეხილნი განკურნნის».

შა იყენეს, რომელთა იგი ჰრწმენა ღრისტჳ,
სამეოც და ათათას და ექუსას. შა ვითარცა
იხილა ესე მეფემან მან სიმრავლჳ იგი მორწ-
მუნეთაჲ მათ ღრისტჳს-მიმართთაჲ, განრისხ-
ნა და განმწარებული თქუმით ეტყოდა დასა
მას თჴსსა: «ვფუცავ ღმერთთა მათ ყოველთა,
პირად-პირადითა და უწყალოთა ტანჯვითა
აღგასრულო შენ, თუ არა ჴმსახურო **წჴო-
ლონსა**». **წმიდამან ღეოდოსია** ჰრქუა: «ვერ
გიცნობიესა, რომელმან შეგკრა შენ და გარდ-
ამოგჴსნა შენ, ამისთჴს ეგევითართა სიტყუათა
იტყვია?» **სებასტიანე** ჰრქუა: «რომელმან იგი
შემკრა მე, იგი ეშმაკი არს. შა რომელმან იგი
გარდამომჴსნა, იგი **წჴოლონი** არს, ღმერთი
ჩემი».

11. **წმიდასა მას ღეოდოსიას** ვითარცა ესმა ესე
მწარენი უვარის-ყოფისა იგი სიტყუანი პირისა-
გან ძმისა თჴსისა, დავარდა პირსა ზედა თჴსსა
და ტიროდა მწარედ, და მოდიოდეს ვითარცა
ნაკადულნი ცრემლნი თუალთაგან მისთა; და
დაიპყრობდა მჴელითა და ალაფრქუევდა ცად
და დაისხნა ჴელნი ერთი ერთსა ზედა და ჴყ-
ოფდა სახესა წმიდისა ჴუარისასა და იტყოდა:
«უფალო ჩემო და იმერთო ჩემო, დამოჴკიდე
ერთჯერდა ქართა უჴეთური ესე საქმარი ეშ-
მაკისაჲ და გარდხამოჴჴსენინ ეგე ღმერთმან
თჴსმან **წჴოლონ**. ჴაჲთა გიცნას შენ მხოლოჲ
ჭეშმარიტი იმერთი». შა ვიდრე იგი იტყოდა-
ლა ოდენ ამას წმიდაჲ **ღეოდოსიაჲ**, მეყსეულად
დამოეკიდა მეფჳ იგი ზე აერთა. შა ვიდრე იგი
დამოკიდებულ იყო ზე აერთა, იწყო ღალადე-
ბად წმიდისა მის მიმართ და თქუა: «დედოფა-
ლო ჩემო და დაო ჩემო, ამას ჴერსალა შემენიე
მე, რაჲთა არა ნარგწყმდე უშჴულოებასა ამას
შინა». შიუგო წმიდამან მან მონამემან იმრ-
თისამან და ჰრქუა: «ამას ჴერსალა მოვედინ
წჴოლონ და განგარინენ შენ». შიუგო მეფემან
და ჰრქუა: «ჭეშმარიტად უწყოდე, დედოფალო
ჩემო **ღეოდოსია**, რამეთუ დიდი ნარსანყმდე-
ლი ელის ჩემგან **წჴოლონსა**, ამას ჴერსალა
თუ გარდამომჴსენ, რამეთუ დამჴოლვად მეგ-
ულების არა ხოლო თუ **წჴოლონისა**, მტერი-
საჲ მის შენისაჲ, არამედ ყოველნივე ღმერთნი

მზის-ქალაქისანი ამის წარვწყმედნე».

ჟოლო წმიდამან მან მოწამემან ღრისტეს-
მან წგებლობით მსგავსად ზრახვად წარმოიღო.
წრა დაიდვა შური გულსა წარსაწყმედელად
მისა, არამედ დაშურებოდა, რადთამცა მოაქცია
ცნობად იმართისა წარწყმედული იგი ეშმაკისა.
წლილო პირი თესი წმიდამან მან, იწყო სიტყუ-
ად და თქუა: «უფალო იმერთო ძალთაო, ჟო-
მელმან გამოირჩიე ჭეშმარიტებად და მოიძულე
სიცრუეც; ჟომელმან გამოგვცხადე მეცნიერე-
ბად იმართის-მსახურებისა და უმეცრებად იგი
დაამწუ; ჟომელმან შხოლოდ-შობილი ძეჲ ჰენი
მოავლინე და სიმრავლეს სიტკბოებისა დაანესე.
ესუ ღრისტი, რომელმან წმიდად ეგე ჯუარი
ჰენი გამოაბრწყინვე და დაბნელებული ესე
სოფელი განანათლეს, მოჰხედე, ოფალო, მვე-
ვალსა ამას ჰენსა და იხილე, რამეთუ ვითარცა
ყრმაჲ შეშინებული ჰენდამი ვტოლვილ ვარ. ჴავ
მოტევებად ცოდვათა ჩემთა და განარინე მეფეს
ესე ურვათაგან, რომელთაგან იტანჯების».

წა ვითარცა შესწირვიდა ლოცვასა ამას წმი-
დად **ჴეოდოსია**, განჰჴსნდეს საკრველნი იგი,
რომლითა დამოეკიდა და განერა ტანჯვათა
მათგან და თქუა: «დიდ ხარ ღმერთი ეგე ჩემი
წპოლონი, რომელმან ღირს მყავ მე დიდითა
ძლიერებითა შენითა და გამომიყვანე მე ურ-
ვათა ამათგან». წა ვითარცა ესე თქუა, მიუ-
გო წმიდამან **ჴეოდოსია** და თქუა: «ჴ ძაღლო
ეშმაკო, ვიდრე ოდენ აცთუნებ გულსა ამის
შარავანდელისასა?!» მაშინ ჰრქუა **სებასტიანე**
მსახურთა მათ თესთა: «განიყვანეთ ჩემგან
უბადრუკი ეგე და შეაგდეთ საპყრობილესა».

12. წა ვითარცა მიიყვანეს წმიდად იგი **ჴე-
ოდოსია** საპყრობილედ, უბრძანა, რადთა მოი-
ყვანენ შეკრულნი **წორდიანე** და **წნატოლია**,
ცოლი იგი მისი. წა წარმოადგინეს შორის
ურაკპარაკსა მას და ჰრქუა მათ მეფემან მან:
«ისმინეთ, რომელთა ეგე არღარა გგონიეს
ტანჯვად პყრობილებითა, ანუ გნადის ვი-
თარმცა უძვრესნი ტანჯვანი შეგემთხვნეს, ესე
უნყოფეთ, რამეთუ არა დავჰრიდო მცოვანე-
ბასა თქუენსა, არამედ ძვრ-ძვრად აღვასრულო
სიბერეს თქუენი და ჟამითი-ჟამად შევამცირნე
მცენი ეგე თქუენნი და გირუენო ბოროტი აღ-
სასრული თავთა თქუენთა».

წრქუა მას დედამან თესმან **წნატოლია**:
«კეთილად ჰქმნე, შვილო ჩემო **სებასტიანე**, ეგე
სასყიდელი არს მამისა და დედისათეს. შარ-
თლიად მოგუაგებ ბოროტსა კეთილისა წილ,

რამეთუ იქმენ მამისა და დედისა მკლველ.
წრეთუ ვერ შემძლებელ ვარ ხადად ოფალსა
ჩემსა ესუ ღრისტესა, რადთამცა აღგვოცა
შენ ახოვნებისა მაგისგან!» მეფემან ჰრქუა:
5 «უზორე ღმერთთა და ვადიდო მოხუცებულე-
ბად და შუენიერებად მცენთა თქუენთა».

წნატოლია დედამან მისმან ჰრქუა მეფესა
მას: «ჴ ძვრ-ძვრად ბოროტო ეშმაკო, ჴ კარო
წარსაწყმედელისაო, ჴ უმედგარძსო მამათა
10 შორის, ჴ აღმოცენებულო ქუეყანასა ზედა
უნაყოფოვო, ჴ კეთილთა მშობელთა ბოროტო
ნაშობო! წრა რეცა გუშინ გიგურკნევედი შენ
მვართა ზედა ჩემთა და გაფუფუნებდი შენ წი-
ალთა ჩემთა, ან ვინ მიმტაცა შენ ჩემგან, შვილო
15 ჩემო. ჴ დამესწნელო ბოროტისაო და სიბერისა
მაგინებულო. ჴ თხოვად დედისა წარსაწყმედე-
ლად შვილისა. წრა-მე კმა არსა შენდა, რამეთუ
შეცთომილ ხარ ცხოვლისა ამისგან იმართისა
ჩემისა? და ვერვე გიცნობიეს იგი ანგაჰრები-
20 სადთა. წრამედ მშობელთაცა შენთა ათრევ ქუ-
ეყანასა ზედა ურაკპარაკსა და ჰყოფ განკითხ-
ვასა მათ ზედა. ოწყოდე, შვილო, რამეთუ აწვე
შენანებად შენდა».

13. წა ვითარცა ესმა დედისა თესისაგან,
25 იწყო ცრემლით დამოდინებად და თქუა: «ჴ
ჯოჯოხეთო, ალაღე პირი შენი და შთამნთქი მე
ცოცხლივ. ჴაღსა-მე მოეფინის ჩემ ზედა მზეს
დღისა ანუ ნათელი მთოვარისა და ღამეს; რად-
სა-მე არს ჩემ თანა პატიოსნებად ესე კაცთაგან
30 დღისა და სიმრავლესა ვარსკულავთასა მიხედ-
ვად ჩემი ღამეს; რადსა შემემთხვნეს მუჴლნი
აღმქუმელთანი, ანუ რადსა-მე აღორძინდა
ჰასაკი ესე სიყრმითგან და მოინია სიჭაბუკე-
სა ამას, და რადსა-მე ვიშევე მე ძვრ-ძვრადისა
35 ამისთეს შემთხუევისა?! არამედ მე ხოლო მარ-
ტოვ ვიქმენ შობილთაგანი განმზადებულ წყე-
ვათა. ოკუეთუმცა ეცნობა მამასა და დედასა
ჩემსა, ვითარმედ ესე ვითარნი ძვრნი შემთხ-
უევად არიან, უჟამოსა სამემცა წარმწყმი-
40 დეს მე. წედაო, დედოფალო ჩემო, უბინოვთა
საქალობელითა და კეთილითა თესლითა მშევე
მე, ხოლო მე ვიქმენ მგელ განმრყენელი სი-
ბერისა თქუენისა. ნაშრომი მშობელთაჲ ვიქმენ
მე არა სარგებელად და შეურაცხ არიან ნაშ-
45 რომნი მზრდელთა ჩემთანი». წა ვიდრე ამას
ეტყოდა მეფეს იგი, მიდგა მისა ეშმაკი, ეტყო-
და ყურსა და ჰრქუა: «ჩემი ხარ კეთილად».
წა აღიღო მისგან სიყუარული იგი მამისა და
დედისა მისისა, დააბრმნა თუალნი გონებისა

მისისანი, რადთა არა დაჰხედოს დაწერილთა მათ რომელსა იტყვს: «თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, რადთა კეთილი გეყოს შენ ყოვლით-კერძო» (ეფ. 6, 2-3).

14. შერმეცა აღივსო დაბნელებული სწავლითა მით ეშმაკისადათა და ჰრქუა მამასა მას თჳსსა **სორდიანეს**, რომელსა ეწოდა ნათლის-ლებასა **სრიგორი**: «შენ გეტყვ მოხუცებულსა მაგას, ვიდრე ტანჯვადმდე უწყალოდ, ჯორცთა შენთა დაემორჩილე და ჰხადოდე **სპოლონს** ღმერთსა, რომელ იგი გუშინდელად დღედმდე დიდებულ იყო შენგან». **სრიგორი** მამამან მეფისამან ჰრქუა: «კეთილად სთქუ, შვილო, არამედ რომელსა იგი გუშინ პატივსა უყოფდი ვიდრე დღენდელად დღედმდე, უკუეთუმცა იყვნეს ცოდვანი ჩემნი ვითარცა მქუშა ზღვს-კიდისაჲ, დღეს სინანულითა ჩემითა ყოველთა საუკუნეთამდე ყუავილგარდაფენილ იქმნა».

15. ზა ვიდრე განკითხვასა ჰყოფდა უღმრთოდ იგი მამასა და დედასა მას თჳსსა ზედა, აჰა კანჯარი ერთი მოივლინა ოფლისა მიერ მათათგან სადგურით თჳსით და მოიწია შორის ქალაქსა მას და დადგა ერთკერძო და ჳმაყო ჳმითა მალლითა და იტყოდა: «ჴ შესულე-ბულნო ძენო კაცთანო, არა უწყით, რამეთუ **სდამისგან** ერთისა მის მამისა და მისისა მის მეუღლისა **სვაისგან** შობილ ხართ თქუენ ყოველნი, რომელთა გამოცა აღივსნეს ყოველნი დაბადებულნი და რაოდენცა განავსეთ სოფელი განთესლებითა ქუეყანასა ზედა, მისცა იმერთმან გონიერებაჲ და სიბრძნე ყოვლისა სახისაჲ, რადთა არა თავის-უფლად და მოცალედ ცხოვდებოდიან კაცნი ქუეყანასა ზედა.

ღსმინე, მეფე, რამეთუ შენდა მიმართ არიან სიტყუანი ესე ჩემნი, რომელი ეგე უკეთურებისა გულის-ხმისა-ყოფასა ხარ სახე და ეგრვით განმწარებულ ხარ მშობელთა მაგათ მიმართ შენთა. წრა სადა გასმიესა საღმრთოთაგან ჩიგნთა, რომელნი განათლებენ სულთა და განსწმედენ გონებასა მსმენელთასა სარგებლითა სწავლითა? და არცალა-მე იგი აღმოგიკითხავსა, რომელ იტყვს, ვითარმედ „კურთხევამან მამისამან დაამტკიცნის სახლნი შვილთანი და წყევამან დედისამან აღფხურის საძირკუველითურთ“. ობადოო **სებასტიანე** და თანამზრახველო ეშმაკისაო!»

ღმას ეტყოდა კანჯარი იგი ნაშობსა მას, რომელსა წარედგინნეს განკითხვად მშობელ-

ნი თჳსნი, მიექცა სიმრავლესა მას და ჰრქუა: «თქუენ გეტყვ, რომელნი ეგე გარემოხსდგათ. ნუ ჰბორგით თქუენცა საბორგილისა მაგისისა მსგავსად, და ნუ ემსგავსებით გესლბოროტსა მაგას გუელსა. ჴამეთუ ვითარცა ასპიტისა საკუდინებელითა გესლსა სწავლისა-სა ასწავებს, და თუ იყოს და ემსგავსნეთ მაგას, თქუენცა მაგის თანავე წყმედად ხართ. წრამედ დადევით სასოებაჲ თქუენი ოფლისა მიმართ ჴესუ ჴრისტესა. ჴმისთჳსცა ესერა პირუტყვსაგან გემხილების, რომელთა მიემსგავსნეთ ნამდვლვე საცხოვართა პირუტყუთა, უკუეთუ მიემსგავსნეთ ნანდვლვე მაგათ, რომელნი კერპთა უზორვენ. ჴოლო რომელთა ჰრწმენეს ჴრისტე, ვითარმედ შეუფვ საუკუნე არს, მსგავს არიან იგინი ბრწყინვალეთა ვარსკულავთა ცათასა. წრამედ გრწმენინ ჴამისაჲ და ჴისაჲ და ჩმიდისა სულისაჲ და სცხომდეთ წრფელითა გულითა».

20. ჴსე ყოველი წართქუნა კანჯარმან მან ბრძანებითა იმრთისადათ. ზა ვითარცა ესმა ესე მეფესა მას **სებასტიანეს**, შეძრწუნდა ფრიად და ყოველთა, რომელთა ესმოდა, არა ხოლო თუ მცირედ რაჲ შეეშინა, და ჰრწმენა ჴრისტე სამეოც და ათსა ათასსა, რომელნი ღაღადებდეს და იტყოდეს: «დიდ არს იმერთი იგი ჴრისტეანეთაჲ და არა არს სხუაჲ იმერთ გარნა ჴესუ ჴრისტე».

16. ზა ვითარცა რწმენა ამათ და დააცადა მეფემან მან ტანჯვაჲ დედა-მამათა თჳსთაჲ, ვიდრე ცხრად დღედმდე და არას ჰკითხვიდა მათ. ზა წარვიდა კანჯარი იგი ბრძანებითა იმრთისადათ ადგილად თჳსა, ვინაჲცა მოსრულ იყო. ზა ვითარცა აღესრულა დღე იგი მეცხრე, ჴთაუვდა გულსა ეშმაკი მის მეფისასა დაჯდომად ურაკპარაკსა და ყოფად განკითხვაჲ ზედა მშობელთა თჳსთა. სიტყუად იწყო და ჰრქუა მამასა მას თჳსსა: «უზორე ღმერთთა, მამაო. ჴეფუცები **სსკლიაპიას**, არლარა დავჴრიდო სიბერესა შენსა». **სრიგორი** თქუა: «შვილო, წეს-არს ჩუენდა შენგან აღსრულებად. ჴამეთუ არა წეფსით შენით იქმ მაგას, არამედ საქმის-მოდგამი იგი შენი ეშმაკი იქმს მაგას». **სებასტიანე** ჰრქუა: «მამაო, ნუ ჰგონებ, თუ უცებცა იყო. წრა გარქუ შენ, ვითარმედ მივედ და უზორე ღმერთთა, და სცხომდე? გეფუცები ყოველთა მათ ღმერთთა, არლარა დაგრიდო შენ; რამეთუ ჰრქუა მას ეშმაკმან, ვითარმედ: «აღიხუენ იგინი ამის ცხოვრებისაგან».

ბა განრისხებასა მას მის მეფისასა, ჰრქუა მას **სრიგორი** მამამან თვსმან: «მივიდეთ ტაძარსა მას **სპოლონისსა**, მე მამად შენი და **სნატოლია** დედად შენი». სანმხიარულდა ფრიად მეფე იგი და მივიდა თვთცა მათ თანა საყოფელსა მას **სპოლონისსა**. ბა მივიდა სახლსა მას კერპთასა, სადა იგი მეორედ განეახლა **სპოლონი**. სღალო პირი თვსი მამამან მის მეფისამან და ჰრქუა: «შენ გეტყვ, **სპოლონი**. **ფილეკტიმონ** მონამემან ღრისტცსმან დაგამხუა შენ და მეორედ **სებასტიანე** მეფემან განგაახლა შენ. **სნ** რად ძალ არს შენ თანა, გჳრუენე, რადთა გურნმენეს, ვითარმედ შენ ღმერთი ხარ». **ს**ოლო წმიდამან **სნატოლია** თქუა: «ჩას, რამეთუ პილენძი არს და უგმო წინწილა». **ს**მიდამან **სრიგორი** თქუა: «არას მოგვგება **სპოლონი**?» **ს**მიდამან **სნატოლია** თქუა: «შესულეზულ არს და მით ვერ უძლავს სიტყუად». **ს**მიდამან **სრიგორი** თქუა: «მოვალს მეუფე სოფლისადა». **ს**მიდამან **სნატოლია** თქუა: «ღრისტც არს მჳსნელი ყოველთა ცის-კიდეთადა». **ს**მიდამან **სრიგორი** თქუა: «გჳრუენე მეუფებად შენი, რომელ მოგიგებოეს შესულეზულო **სპოლონი**.» **ს**მიდამან **სნატოლია** თქუა: «ეგე არს სარკე გეჳენიისა მის ცეცხლისადა მათა, რომელნი შეცთომილ არიან ჭემარიტებისაგან ღრისტცსისა». **ს**მიდამან **სრიგორი** თქუა: «წრდილო არს სახლი ესე შენი **სპოლონი**. **ს**ოვედ ჩუენ თანა და გატევ ბრწყინვალეზასა მას მზის-თუალისასა». **ს**მიდამან **სნატოლია** თქუა: «წუ განაღვძებ მაგას, წრდილოსა მაგას ჳნებაეს ყოფადა, რამეთუ არსვე არარადა». **ს**მიდამან **სრიგორი** თქუა: «ამას ჳმსახურება, შვილო **სებასტიანე**? იხილე რაოდენი ესე საკიცხელ იქმნა **სპოლონი**. **ს**რა გული განუწყრა, არცა განრისხნა ამისთვის, რამეთუ არა არს მაგის თანა საშუმინველი ცხოველი».

ბა ვიდრე იგი იტყოდალა ოდენ წმიდა **სრიგორი**, ნეტარი იგი **სნატოლია** გამოვიდა საკერპოვსა მისგან და აღიხუნა ქვანი და დაფარნა სამოსელსა თვსსა; და შევიდა მუნვე სახლსა მას კერპთასა და შესტყორცნა ქვანი იგი და გარდამოაგდო **სპოლონი** ქუეყნად; და გარდამოვრდომასა მას მის ხატისასა დაამჳუა მას ზედა სუეტებიცა იგი, რომელსა დამსტყალულ იყო და იქმნა მწულილ ვითარცა მქჳდა. **ს**ე იქმნა ბრძანებითა იმრთისადათა, რადთა რომელნი იგი პირველ მორწმუნენი იყვნეს, უმეტცს ხოლო მტკიცც იქმნეს სარწმუნოებასა ზედა.

17. ბა ვითარცა გარდამოვარდა ხატი იგი კერპისადა მის ქუეყნად სუეტითურთ, რომელსა ზედა დამსტყალულ იყო, დაიპო მეფემან მან სამოსელი თვსი და წარვიდა სამეუფოდ და დაჯდა ურაკპარაკსა მას ზედა და უბრძანა მოყვანებად წმიდისა მამისა და დედისა თვსისადა. ბა მოსლვასა მას წმიდათასა ჰრქუა მეფემან მან: «დედისა მის ღმრთისა **სპოლონისი** მერმეცა ძალ-მიც განახლებადა, ხოლო თქუენ ეგევითარისა მაგის წარტევეზულად საქმისა ძვრ-ძვრად ტანჯვითა აღგასრულნე თქუენ».

სმიდამან **სრიგორი** თქუა: «მოყუასო, რომელსა ეგე წარმომართებულ ხარ, ყავ ადრე ბრძანებული ეგე შენი ეშმაკისაგან». შას ჟამსა მეფე იგი განრისხებული აღვიდა ზედა სავარძელთა თვსთაგან და უპყრნა წუერნი **სრიგორისნი** მამისა თვსისანი და უწყალოდ დაჳფხურიდა მჳცეთა მისთა და სცემდა ყურიმალთა მისთა. **ს**ხილა ესე წმიდამან **სნატოლია** და ჰრქუა: «რადსათვს იქმ ამას ბოროტსა, შვილო ჩემო? აწუ რადსათვს ძვრ-ძვრად დაშვი სიბერესა მაგას მამისა შენისასა? მელმიან წელნი ჩემნი შენთვის, შვილო, და არა უწყი, რად გარქუ შენ. **ს**ავ, რადცა გნებაეს, რამეთუ შენ თანა არს ეშმაკი, რომელი გაქმნევს მაგას». ბა ვითარცა ესე თქუა წმიდამან **სნატოლია**, უბრძანა მეფემან მსახურთა თვსთა და ჰრქუა: «განიყვანენით ეგენი გარეშე ქალაქსა და მოსრენით მახვლითა. ბა აჳოცენით ეგენი ცხოვრებისა ამისგან!» მიუგეს და ჰრქუეს მას მსახურთა მისთა: «მეფე, არა წეს-არს ეგე შენდა ყოფად და არცა ჩუენდა ღირს ჳელისა მიყოფად მაგათ, რამეთუ შარავანდედ არიან და მშობელცა შენდა».

სანრისხნა ფრიად მეფე იგი და ჰრქუა მსახურთა თვსთა: «გეფუცები ღმერთთა ყოველთა, უკუეთუ არა აჳოცნეთ ეგენი, ძვრ-ძვრადითა ტანჯვითა წარგწყმიდნე თქუენ». **ს**ოლო მსახურთა მათ ჰრქუეს მას: «აღიხუენ ჩუენგან თავნი ჩუენნი. შძლავრ ვართ ამით ცხოვრებითა, რამეთუ ვიხილენით მშობელნი ნაშობთაგან მოკლულნი და კაცნი ნათესავით შარავანდედთანი». **სებასტიანე** მეფემან ჰრქუა: «მომართვთ მე აქა მახვლი». ბა ვითარცა მოართუეს, მოილო მახვლი იგი ჳელთა და დაიღუმინა ვითარცა მჳცემან მძვნვარემან ველისამან და მოსრნა პირველად მსახურნი იგი, რომელთა არა მიყვნეს ჳელნი მათნი მშობელთა მათთა მიმართ, და მაშინლა მოსრნა მამად თვსი და დედა თვსი ჳელითა თვსითა გარეშე ქალაქსა

და ზარჰხდიდა მსახურთა თვსთა. ზა ესრტო აღესრულნეს წმიდანი მონამენი ჴრისტჳსნი.

18. ზა ხვალისაგან დაჯდა მეფჳ იგი ურაკ-პარაკსა და უბრძანა მოყვანებაჲ წმიდისა მის **ქეოდოსიაჲსი**, დისა თვსისაჲ. ზა მოვიდა ურაკპარაკად და პირველ ვიდრე კითხვადმდე მეფისა მის, ჰრქუა წმიდამან **ქეოდოსია**: «აჰა ესერა, ათხუთმეტი დღჳ არს ჩემი საპყრობილესა ამას შინა გამოზრდით და მოლუანებოთა წმიდისაგან ტრედისა იმრთისა ბრძანებითა. ზა მეუწყა მე წნგელოზისაგან, ვითარ მოსწყდენი მამაჲ შენი და დედაჲ შენი. წჰა ესერა, მეცა წინაშე შენსა ვდგა. ქემოდე რაჲცა გნებაჲს».

ღსე ვითარცა ესმა მეფესა მას, ჰრქუა მას: «გეფუცები ღმერთთა მათ ყოველთა. წრა ვყო შენთვის, ვითარ ეგე შენ ჰგონებ, არამედ მცირედ-მცირედითა ტანჯვითა აღგასრულო შენ. შივედ, უზორე ღმერთთა, უკეთურო და უბადოო!» წმიდამან **ქეოდოსია** ჰრქუა: «არა ღირს იქმენ კურთხევად მშობელთა თვსთაგან. ჰ ნაშობო გეჰენიასო, ჰ ნაწილო ბნელისაო, ჰ თანამკვდრო ჯოჯოხეთისაო, ჰ ჭურო ეშმაკისაო, და მტერო თავისაო. ჴავ, რაჲცა გნებაჲს მსგავსად ბრძანებისა შენისა ეშმაკისა».

ზა ვითარცა ესმა ესე უკეთურსა მას მძლავრსა, დაიღრჭინა კბილნი მისნი და ჰრქუა მტარვალთა მათ: «მოჰძარცუეთ სამოსელი თავისა მაგისაჲ და წარუწმასნეთ თმანი მაგისნი და ზე დამოჰკიდეთ და ეგრტო უტევეთ ზედამოკიდებულსა ვიდრე მწუხრადმდე». ჰეშინა მტარვალთა მათ და თქუეს: «წუ უკუე არა აღვასრულოთ, ვითარცა პირველთა მათ, რომელთა არა ყვეს ბრძანებაჲ მეფისაჲ, და ეგრტოვე მოგუწყდნეს ჩუენცა». წლსძარცუეს საბურველი თავისა მისისაჲ და შებმა უყვეს მას და აიძულებდეს წმიდასა მას დიდითა კრძალულებოთა. ჴოლო წმიდაჲ იგი **ქეოდოსია** მხიარულთა პირითა და დიდად მადლობითა ჴრისტჳს მიმართ დაუთმობდა ტანჯვათა მათ.

19. ზა ვითარცა შებმა უყვეს მტარვალთა მათ წმიდისა **ქეოდოსიაჲსთა**, რაჲთამცა დამოჰკიდეს თმითა, მსგავსად ბრძანებისა უკეთურისა მის მძლავრისა, და წარჴდეს თითნი მტარვალთანი მათ კოჭითგან და დამოეკიდნეს თითნი იგი თმათა მის წმიდისათა. ჴითარცა იხილა მეფემან მან, რაჲ იგი დაუკვრდა ფრიად, და ჰრქუა დასა თვსსა: «ისმინე ჩემი, დედოფალო **ქეოდოსია**. წრა თუ ლიქნით რასა გეტყვ

შენ, არამედ შემძლებელ ხარ შენ განკურნებად თითწარჴდილთა მაგათ მტარვალთა ჩემთა და მაშინლა განგიტეო შენ».

წმიდამან **ქეოდოსია** თქუა: «ჰე, მე მრწამს ჴრისტჳს, რომელი მკურნალ არს სულთა და ჴორცთაჲ. ჴამეთუ არა არს უძლურებაჲ სიტყუასა მისსა და არცა მათა, რომელთა სთხოვიან ამას ღირსებით. წწ არა შენთვის და არცა ჲა აღთქუმათა მაგათთვის, რომელ სთქუ, ვითარმედ „განგიტეო შენ“, განკურნნე თითნი წარჴდილნი მტარვალთა შენთანი, არამედ ამისთვის, რამეთუ ცრემლნი მაგათნი მეოხ არიან მაგათა. ზა მე ვერ დავაყენო მოწყალებაჲ ჩემი მათგან დიდად-მოწყალისა მის აფლისა ჩემისა». ზა ესე ვითარცა თქუა წმიდამან **ქეოდოსია**, მიეახლა მათ, რომელთანი იგი წარჴდილი იყვნეს თითნი მათნი და თქუა: «უფალო, უფალო, განკურნენ ეგენი». ზა ვითარცა განკურნნა იგინი წმიდამან **ქეოდოსია**, დასცხრა მძლავრი იგი ყოფად განკითხვათა მათგან და ტანჯვათა, რომელთა ჰყოფდა ნეტარსა მას ზედა **ქეოდოსიას**.

20. ზა იყო ქალაქსა მას შინა დედაკაცი ერთი, რომელსა ესხნეს ორნი ძენი მარჩბივნი. ზა ვითარცა აღდგა განთიად, პოვნა ყრმანი იგი ორნივე მომწყდარნი ცხედარსა ზედა, იურვოდა დიდად. შოიჴსენა წმიდაჲ იგი **ქეოდოსია**, სრბით მივიდა, შეუერდა ფერჴთა მისთა და ჰრქუა: «დედოფალო, შემენიე მე, რომელსა ეგე ჴრისტჳს შთაგიცუამს. ჴყვნეს ჩემნი ორნი ყრმანი მარჩბივნი. შწუხრი დავანვინენ იგინი ცხედარსა ზედა და განთიად აღვდეგ და ვპოვენ ორნი ყრმანი იგი ორნივე მომკუდარნი. ჴგების თუ რაჲმე, შემენიე მე, რამეთუ არავინ არს ჩემდა სასოება ცხოვრებისა, უკუეთუ იგინი არა იყვნენ მოლუან და მგულუბელ სიგლახაკისა ამის ჩემისა».

შოუგო წმიდამან **ქეოდოსია** და ჰრქუა დედაკაცსა მას: «და რაჲმე ჴელმენიფების ყოფად შენდა, რამეთუ საპყრობილესა შინა ვარ, ვითარცა ესე მხედავ. ზა ვიდრეცა მისლვად ვერ ჴელმენიფების, მივედ და ჴმა-ყავ წინაშე მეფისა. აკუეთუ ბრძანოს განტევებაჲ ჩემი, მივიდე შენ თანა». ჴრქუა მას ნეტარმან **ქეოდოსია**: «ეგრე არს. ჴანამდებთა თანა ვარ ჴრისტჳსთვის, რაჲთა განვმართლდე მის მიერ დღესა მას, რომელსა სიტყუანი წარჴდენ». ჴითარცა ესმა ესე დედაკაცსა მას, წარვიდა მისგან და მივიდა მეფისა მის, ჴმობდა

და იტყოდა: «შემინყალე მე, უფალო მეფე». სრქუა მას მეფემან: «რა გნებაჲს, რა გვო შენთვის?» ზედაკაცმან მან პრქუა: «ორ ძე მესხნეს მე მარჩბივნი, რომელნი მირენვიდეს მე დღისა როჭიკსა, რამეთუ ქურივ ვარ და გლახაკ. სუშინ მწუხრი ორნივე ერთსა ცხედარსა ზედა დავანვინენ. ზა მივედ ცისკარსა, რათამცა განვალვძენ იგინი და არარაჲ მომიგეს. შივეახლე ცხედარსა მას და ვიპოვენ ორნივე მომკუდარნი. წმისთჲს გევედრები, უფალო, რათა მოვიდეს **ჴეოდოსია** დაჲ შენი და აღადგინნეს ყრმანი იგი». შიუგო მეფემან მან და პრქუა: «უკუეთუ შემძლებელ არს იგი ყოფად ეგრე, მივედინ და აღადგინნენ შვილნი იგი შენნი. ზა მივიდედ მის თანა მცველნიცა იგი საპყრობილისანი მის, რათა არა ვიდრე იელტოდის».

